პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 12 (3496)

18

1968 წ. იანვარი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

## ინსბრუკი — სპორტული სორბონა

15 იანვარს მოსკოვიდან ავსტრიის ქალაქ ინსბრუკის მიმართულებით მიმავალ თვითმფრინავში ჩვენი ქვეყნის ბევრი ქალაქის სტუდენტები ისხდნენ. მათ შორის იყვნენ სვერდლოვსკის, კემეროვოს, პერმის, ბარნაულის, კრასნოიარსკის, ყაზანის, ტომსკის, ჩელიაბინსკის ახალგაზრდები, რომლებიც მორიგ უნივერსიადაში უმაღლესი სპორტული „სესიის" ჩასაბარებლად მიდიოდნენ.

უნივერსიადა საზეიმოდ გაიხსნება 21 იანვარს, თუმცა 17 იანვრიდან უკვე დაიწყება ჰოკეისტთა და ფიგურისტთა (სავალდებულო პროგრამა) შეჯიბრებები. 28 იანვრამდე იასპარეზებენ ავსტრიის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ფინეთის, იაპონიის, კანადის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, პოლონეთის, უნგრეთის, იუგოსლავიის, სსრ კავშირის, სულ 30 ქვეყნის სტუდენტები.

უნივერსიადის შეჯიბრებები გაიმართება იმ ადგილებში, სადაც 1964 წლის ოლიმპიური ბრძოლა ჩატარდა. პროგრამაშია სათხილამურო რბოლები, ტრამპლინიდან ხტომა, ორჭიდი, სამთოსათხილამურო სპორტი, ჰოკეი. ამას გარდა, პირველად გაიმართება შეჯიბრება საციგურაო სპორტში. ამ სახეობის წარმომადგენლები გამოვლენ 500, 1.500, 3.000 და 5.000 მეტრზე რბენაში და გაითამაშებენ პირველობას მცირე მრავალჭიდში.

გასულ უნივერსიადაში, რომელიც შარშანწინ გაიმართა იტალიაში, საბჭოთა სტუდენტებმა დაისაკუთრეს ყველაზე მეტი მედალი — 13. აქედან 5 ოქროსი იყო.

წლევანდელი დელეგაციის შემადგენლობაში 40-ზე მეტი დებიუტანტია.



ინდოეთის კორტები იღბლიანი გამოდგა საქართველოს ჩოგბურთელთათვის. ა. მეტრეველისა და ა. ივანოვას წარმატებები ერთეულთა შეჯიბრებებში მოულოდნელობას არ წარმოადგენდა: ისინი აქ შარშანაც შესანიშნავად ასპარეზობდნენ. წლეულს მათთან ერთად კარგად გამოვიდა ნიჭიერი ქართველი ჩოგბურთელი ნ. თუხარელი, რომელმაც ივანოვასთან ერთად მაისურის შტატის ქალაქ ბანგალურში გამართულ აზიის ჩოგბურთელთა ღია პირველობაში წყვილთა შეჯიბრება მოიგო.

* * *

სურათზე: ნ. თუხარელი.

ფოტო ი. იუნაევისა.

## მზადება გადამწყვეტი ბრძოლებისთვის

სსრ კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდი, 1966-67 წლების ევროპის ჩემპიონი, სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფება ოჩამჩირეში. 26 მოთამაშიდან შეირჩევა 16 საუკეთესო და მათ კვლავ მოუწევთ ევროპის პირველობაზე მატჩებში მონაწილეობა, რომელიც საფრანგეთში გაიმართება.

ჩვენი გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ე. ლიადინმა მოგვითხრო:

— კოლექტივში არიან ისეთი პერსპექტიული მოთამაშეები, როგორიცაა ა. მირზოიანი („ნეფტიანიკი", ბაქო), ო. კურაშინოვი („სპარტაკი", ნალჩიკი), გ. ანტონოვი (სკა, როსტოვი) და სხვანი. საქართველოდან ნაკრებში იმყოფებიან ვ. კოზინი („დილა", გორი), ვ. მჭედლიშვილი („ლოკომოტივი", თბილისი), ნ. კიტია („დინამო", თბილისი), ნ. ქითაური (ახალგ. საფეხბურთო სკოლა, თბილისი), ტ. ეთერია (ოჩამჩირე).

7 აპრილს საფრანგეთის ქალაქებში დაიწყება გათამაშება ოთხ ჯგუფად დაყოფილ 16 გუნდს შორის. რეგლამენტი საკმაოდ მკაცრია. მაგალითად, ჩვენს ნაკრებს ასეთი განრიგი აქვს: 7 აპრილს მატჩი ჰოლანდიასთან, 9 აპრილს — ბულგარეთთან და 11 აპრილს — ინგლისისა და ირლანდიის ფეხბურთელთა შორის გამარჯვებულთან.

გუნდის წევრები დიდი მონდომებით ემზადებიან მომავალი ძნელი ტურნირისთვის.

გ. კოლოსიანი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.
ოჩამჩირე.

## ანტსონმა რეკორდით დაიწყო

ალმა-ათა, 16 იანვარი. ესტონელ მოციგურავე ანტს ანტსონს გადაწყვეტილი აქვს არ დათმოს შარშან მოპოვებული სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული. ევროპის ექს-ჩემპიონი შესანიშნავად გამოვიდა მედეოს მაღალმთიან საციგურაოზე დღეს დაწყებულ საკავშირო პირველობაში: 500 მეტრზე 40,7 წამი (პირადი რეკორდი) აჩვენა. ამას გარდა, ანტსონმა დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი 5 კილომეტრზე რბენაში—7.34,8. ორი დისტანციის შემდეგ მას 86,180 ქულა აქვს. ეს შედეგი უკეთესია, ვიდრე ნორვეგიელ ს. ი. სტიანსენს ჰქონდა ამ დღეებში, მრავალჭიდში მსოფლიო რეკორდის დამყარების დროს.

ყველაზე პატარა მანძილზე ოქროს მედალი და ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა კოლომნელმა სტუდენტმა ვ. მურატოვმა — 39,6. ეს შედეგი სეზონში მეორეა მსოფლიოში და მხოლოდ 0,1 წამით ჩამორჩება ე. გრიშინის მსოფლიო რეკორდს. ვერცხლის მედლები მოიპოვეს გრიშინმა და ა. ლეპიოშკინმა (ნოვოსიბირსკი), რომლებმაც ერთნაირი დრო (39,7) აჩვენეს.

## ეროვნული ამბები

◆ ამსტერდამი, 17 იანვარი. [illegible] ჩემპიონები კ. ფერკერკი და ს. კაიზერი სათავეში ჩაუდგებიან გრენობლის ოლიმპიადაში მონაწილე ჰოლანდიელთა ნაკრებს. მათ გარდა ამ ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ: ვაჟები — ა. სხენკი, პ. ნოტეტი, ი. ბოლსი და ე. ერიტსმა; ქალები — ა. სხუტი, ვ. ბურმაიერი, კ. გეისენი და ე. ვან დე ბრომი.

◆ გრენობლი, 17 იანვარი. ოლიმპიური სოფლის თავზე უკვე აფრიალდა ეროვნული ალამი. სოფელში მოვიდნენ ოლიმპიური ასპარეზობის პირველი მერცხლები— მაროკოს სპორტსმენები.

◆ პარიზი, 17 იანვარი. მსოფლიოს 72 ქვეყნის 20 მილიონზე მეტი ტელემაყურებელი ნახავს ოლიმპიურ ბატალიებს გრენობლის თოვლიან დისტანციებსა და ყინულის მოედნებზე. საფრანგეთის ტელევიზიას გადაწყვეტილი აქვს 150 საათი დაუთმოს ოლიმპიურ პროგრამას და გადმოსცეს იგი შავ-თეთრი და ფერადი არხებით. ამას იტყობინება რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ოლიმპიადის დედაქალაქიდან.

◆ ჰიამეენლინა, 17 იანვარი. ვ. კენკონენმა დაადასტურა, რომ იგი ფინეთის საუკეთესო „მფრინავი მოთხილამურეა". მან ამ ქალაქის ტრამპლინზე დაამყარა რეკორდი—69 მეტრი. ორი თეთრი ოლიმპიადის მონაწილე, ალბათ, სათავეში ჩაუდგება ფინეთის გუნდს გრენობლშიც.

◆ სანტიაგო, 17 იანვარი. ტოკიოს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა — გდრ-ის ფეხბურთელთა ნაკრებმა წარმატებით აიღო სტარტი აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში — „ოქტოგონალ-68". გერმანელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 5:2 დაამარცხეს ჩილის მრავალგზის ჩემპიონი „უნივერსიდად. დე ჩილე". მეორე შეხვედრაში ჩილის „კოლო-კოლოს" კლუბის ფეხბურთელებმა მოუგეს საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელს — არგენტინის „რესინგს" — 1:0. ტურნირში, რომელიც ორ კვირას გასტანს, გამოდიან, აგრეთვე, ჩეხოსლოვაკიის ნაკრები, ბრაზილიის „სანტოსი", უნგრეთის „ვაშაში" და „უნივერსიდად კათოლიკა" (ჩილი).

◆ ბევერვეიკი, 17 იანვარი. აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში კვლავ წარმატებით ითამაშა დიდოსტატმა ვ. კორჩნოიმ: VI ტურში მან დაამარცხა იუგოსლაველი კარაკლაიჩი და ახლა 6 შესაძლებლიდან ამდენივე ქულა აქვს. ლიდერს 2 ქულით ჩამორჩება რუმინელი გეორგიუ. შემდეგ მოდიან უნგრელი პორტიში და მ. ტალი — 3.3 ქულა და თითო გადადებული პარტია.



მანანა დავითაშვილმა, როზა ბერიკაშვილმა, ლამარა გათენდაშვილმა, რუსუდან ჯინჭარაძემ და მათმა ამხანაგებმა შარშან თავი ისახელეს: ლენინგრადში, მოსწავლეთა X საკავშირო სპარტაკიადაში I ადგილი მოიპოვეს ტანმოვარჯიშე გოგონათა გუნდებს შორის. ახლა სპორტის ოსტატები გულმოდგინედ ემზადებიან მომავალი შეჯიბრებებისთვის.

* * *

სურათზე (მარცხნიდან): მ. დავითაშვილი, რ. ბერიკაშვილი, ლ. გათენდაშვილი და რ. ჯინჭარაძე ვარჯიშის შემდეგ.

ფოტო ი. იუნაევისა.

# კამათის მიზეზი

1967 წლის 19 ნოემბერს „სოვეტსკი სპორტში" დაიბეჭდა სპორტის დამსახურებული ოსტატის ნ. ოზეროვის წერილი „ოვაცია საჭირო არ არის". ველოდით, რომ ამ წერილში იქნებოდა მოფიქრებული, ობიექტური შეფასება და წინადადებები. გამართლდა ეს მოლოდინი? ჩვენი აზრით, ძალიან ნაკლებად.

ჯერ ერთი, საეჭვოა ავტორის აზრი, რომ ჩოგბურთზე ახლა „უმეტესად აღფრთოვანებით" ლაპარაკობენ. არა, ჩოგბურთზე ლაპარაკობენ საკმაოდ თავდაჭერილად, სწორედ ისე, როგორც იგი იმსახურებს. ყოველ შემთხვევაში, ოვაციები არავის გაუმართავს, თუმცა მიღწევები და წარმატება აშკარაა.

ჩვენს ჩოგბურთს ბევრი ნაკლი აქვს. კარგი იქნებოდა მეტი მასობრიობა, კარგი მოედნები; ვცოდავთ რეზერვის მომზადების საქმეში, არა გვაქვს სრულყოფილი კალენდარი. ამაზე და ბევრ სხვა გადაუჭრელ პრობლემაზე ჩვენ მართლაც ველოდით ლაპარაკს.

ავტორი მაგალითად იყენებს ჩოგბურთელთა გუნდების გამოსვლას სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაში და კატეგორიულ, მაგრამ ნამდვილი სურათის არც ისე ზუსტად ამსახველ დასკვნებს აკეთებს. იგი გადაჭრით ამტკიცებს, რომ მოსკოველებთან მატჩში საქართველოს გუნდმა „გამანადგურებელი მარცხი" იწვნია. მაგრამ, ვითომ მართლა ასე აშკარა და უდავო იყო დედაქალაქის ჩოგბურთელთა უპირატესობა?

საქართველოს გუნდის ლიდერი ა. მეტრეველი მაშინ ის-ის იყო დაბრუნდა უცხოეთიდან და გაუჭირდა: უცხოეთის კორტებზე, მათ შორის, ბალახიან კორტებზე თამაშის შემდეგ, სხვისი ბურთებით თამაშის შემდეგ მას ვარჯიშის საშუალებაც არ ჰქონია, ისე ჩაება გუნდური ტურნირის ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპის შეჯიბრებაში — მოსკოვის გუნდთან შეხვედრაში. მოსკოვის ნაკრების პირველი ნომერი ვ. ეგოროვი კი გულმოდგინედ ემზადებოდა ლუჟნიკის იმ მოედნებზე, სადაც მეტრეველს უნდა შებმოდა. შედეგმაც არ დააყოვნა: მეტრეველმა წააგო. ეს სულაც არ იყო მოულოდნელი.

საქართველოს ჩოგბურთელებმა უმეტრეველოდ შეძლეს მთავარი მეტოქეების სამჯერ დამარცხება. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ რამდენიმე დღის შემდეგ, როცა კორტსა და ბურთებს შეეჩვია, მეტრეველმა პირად შეჯიბრებაში მოუგო იმავე ეგოროვს.

ავტორს სიამოვნებას ჰგვრის ლაპარაკი მოსკოვის ჩოგბურთელთა წარმატებაზე, რომელთაც IV სპარტაკიადაში I ადგილი დაიკავეს და წინა სპარტაკიადასთან შედარებით ერთი საფეხურით მაღლა აიწიეს. ჩვენთვის არანაკლებ სასიამოვნოა, რომ საქართველოს ჩოგბურთელები II ადგილზე გავიდნენ და სამი საფეხურით წინ გადაინაცვლეს.

ავტორი ლაპარაკობს იმ სიძნელეებზე, რაც მოსკოვის საქალაქო ფედერაციას ხვდება. სიძნელე არც ჩვენ გვაკლია. ზოგიერთი საზოგადოება ცუდად მუშაობს. კერძოდ, იგივე „სპარტაკმა" ყველგან ჩამალა ჩოგბურთში მუშაობა. ამ საზოგადოებამ თავისი უმნიშვნელო პირველობების სარბიელად და, თუ პირდაპირ ვიტყვით, ზღვის პირას გამართული მხიარული სანახაობების ადგილად აქცია ბათუმის ჩოგბურთის სტადიონი, რომელიც თავის დროზე მას გადაეცა. ნამდვილი სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა კი იქ არ ტარდება. ცუდად მუშაობს „ლოკომოტივი", ჩოგბურთისგან შორს არიან „შრომითი რეზერვები", „კოლმეურნე".

ჩვენ გულს გვტკენს საქართველოს მოსწავლეების წარუმატებლობაც ლენინგრადის სპარტაკიადაში — მხოლოდ VI ადგილი.

ვიმეორებთ, დაბრკოლება ჩვენშიც ბევრია. სიძნელე ბევრია საერთოდ საბჭოთა ჩოგბურთშიც. შარშანწინდელი წელი ჩვენი ჩოგბურთისთვის შარშანდელზე იღბლიანი იყო.

მაგრამ შეიძლება თუ არა, რომ იმ მოწინავე სპორტსმენთა მცირე ჯგუფს, რომლებიც ჩვენი ჩოგბურთის ღირსებას იცავენ საერთაშორისო სარბიელზე, მოვთხოვოთ მუდამ ავტომატური სიზუსტე, სულ უფრო უკეთ, უფრო იღბლიანად ან, თუ გნებავთ, იმავე დონეზე თამაში?

სპორტში ხანდახან წააგებ კიდეც. ვინ ვინა და ისეთმა გამოცდილმა სპორტსმენმა, როგორიც ნ. ოზეროვია, ეს უნდა იცოდეს.

ჩვენ მომხრე ვართ სხვადასხვა ქალაქის ახალგაზრდა სპორტსმენების დაწინაურებისა. მომხრე ვართ, რომ „პირველი ჩოგნები" გამოცდილებას უზიარებდნენ სხვებს. მაგრამ ამასთან დაკავშირებით ნებას ვაძლევთ თავს, რომ ჩვენს ოპონენტს, საბჭოთა ჩოგბურთის ისტორიაში ერთ-ერთ უძლიერეს მოთამაშეს ვკითხოთ: რატომ არ შეუძლია მას, უდიდესი გამოცდილების მქონე სპორტსმენს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, მოამზადოს თუნდაც ერთი-ორი მაღალი კლასის ჩოგბურთელი?

იმისათვის, რომ სპორტსმენები ღირსეული მეტოქეები იყვნენ, უფრო ხშირად შეჯიბრებაა საჭირო. მაგრამ აი, უძლიერეს ჩოგბურთელთა ტურნირზე, რომელიც საკავშირო ფედერაციამ სოჭში მოაწყო, დედაქალაქის ბევრი სპორტსმენი არ გამოცხადდა. გამოიტანა დასკვნები ამ ამბიდან, ილონა რამე მოსკოვის ფედერაციამ?

ჩვენ ვერ დავეთანხმებით იმ აზრს, რომ ა. მეტრეველი არ ეხმარება ახალგაზრდა მოთამაშეებს და რომ თ. კაკულიას თ. ლეიუსი ასწავლის. ეს ასე არ არის!

თბილისში მეტრეველი სისტემატურად ვარჯიშობს თ. კაკულიასთან, თავის გამოცდილებას უზიარებს და როცა ეს შესაძლებელია, მეწყვილედაც თამაშობს მასთან.

აი, მივადექით კიდეც იმ საკითხს, თუ როდისაა დასაშვები „შინაური" წყვილები, როდის შეიძლება დაბეჯითებით მოითხოვო ამ წყვილების შექმნა და მათი შენარჩუნება; ან არადა, როდისაა ეს მიზანშეუწონელი და უაზრო ჩვენი ჩოგბურთის ინტერესების თვალსაზრისით.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილე წყვილები ტერიტორიული ნიშნით არ უნდა კომპლექტდებოდეს. კრიტერიუმი ერთია: რომელი კომბინაციაა უძლიერესი? გადამწყვეტი სიტყვა, რა თქმა უნდა, ჩოგბურთის საკავშირო ფედერაციის მწვრთნელთა საბჭოს ეკუთვნის. და თუ ამ ავტორიტეტულ ორგანოს მიაჩნია, რომ მეტრეველი ლიხაჩოვთან უნდა თამაშობდეს წყვილში, მაშინ ამ გადაწყვეტილების უარყოფას აზრი არა აქვს. აზრი არა აქვს მოთხოვნას, რომ მეტრეველი მუდამ კაკულიასთან ერთად გამოდიოდეს. ეს წყვილი ხომ ჯერჯერობით უძლიერესი არ არის.

ავტორი მოითხოვს, წყვილები მხოლოდ მოსკოველებისგან შედგეს და იქვე სვამს საკითხს ბაკშეევა-მეტრეველის წყვილის შექმნაზე. მაგრამ ესენი ხომ ერთი ქალაქისა და ერთი გუნდის მოთამაშეები არ არიან? სადღაა ლოგიკა?

ავტორი მრავალ წინადადებას გვთავაზობს ახალგაზრდობის მომზადებისთვის. ამ წინადადებებიდან ბევრი კარგია, მაგრამ ნ. ოზეროვი ამას რაღაც სხვათა შორის აკეთებს. იგი ჩქარობს, რომ მალე მიადგეს იმ საკითხს, რომელიც ყველაზე მეტად აღელვებს, და რომელიც წერილის ბოლოსთვის ჰქონდა შემონახული.

ჯობდა რომ თქვას, ეს წერილი ავტორს უნდა დაეწყო ბოლო ნაწილით, რომლისთვისაც მას „ანგარიშით ქორწინება" დაურქმევია. დაძაბული გუნდური ტურნირის შემდეგ თითქოს ბუნებრივი იქნებოდა ხელი შეგვეწყო სპორტსმენების მისწრაფებისთვის, რომლებსაც სურთ უკეთ გამოვიდნენ პირად შეჯიბრებაში და რომლებიც უკვე აღარ იქნებიან შეზღუდული პარტნიორის არჩევაში. მაგრამ მოსკოვის ფედერაციამ აუკრძალა თავის მოთამაშეებს სხვა ქალაქებისა და რესპუბლიკების ჩოგბურთელებთან წყვილებში თამაში. უსწორო პოზიციაა! და რა თქმა უნდა, სწორად მოიქცა სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედერაცია, როცა ეს გადაწყვეტილება უარყო.

წერილის დასასრულს ავტორი აცხადებს, რომ პირადად იგი არ ეთანხმება საკავშირო ფედერაციას, რომელმაც განვლილი საჩოგბურთო სეზონი წარმატებულად აღიარა.

პირველ ყოვლისა დავაზუსტოთ: დამაკმაყოფილებლად (და არა წარმატებულად) პლენუმმა აღიარა ფედერაციისა და მისი პრეზიდიუმის მუშაობა არა მხოლოდ განვლილ სპორტულ სეზონში, არამედ 1963-1967 წლებში.

მოსკოვის ფედერაციის დელეგატი და სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი ნ. ოზეროვი არ დასწრებია ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო პლენუმს, რომელიც სპარტაკიადის დღეებში ჩატარდა. ჩვენი აზრით (ამ წერილის ხელის მომწერთაგან სამი ზემოდასახელებული პლენუმის მონაწილეა), სჯობდა ოზეროვი პლენუმს დასწრებოდა და იქ გამოეთქვა თავისი მოსაზრება. ეს შეიძლება გამხდარიყო საბაბი კამათისა, რომელიც სარგებლობას მოუტანდა ჩვენს ჩოგბურთს.

**ვ. კანდელაკი,**
საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე.

**მ. კლდიაშვილი,**
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

**ა. ხანგულიანი,**
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

**გ. ჯაბუა,**
პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

**ი. ჯაფარიძე,**
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

(„სოვეტსკი სპორტი", № 13).

# მომხმარებლისთვის ზრუნვაში



...მუშაობის დაწყებამდე თითქოს კიდევ ბევრი დროა, მაგრამ „საქსპორტვაჭრობის" № 1 მაღაზიის ყველა თანამშრომელი და დირექტორი ბ. რუხაძე უკვე მოსულან. თაროებს ათვალიერებენ, ხომ ყველაფერი ისეა განლაგებული, რომ რაც შეიძლება მეტი მომხმარებელი მიიზიდოს, ხომ არაფერი აკლიათ შეკერილი ტანსაცმლისა და ტრიკოტაჟ-გალანტერეის, ავტო-ფოტო-სპორტულ და წვრილ ბითუმად მოვაჭრე სექციებს?

მაღაზიიდან გულნაკლული არავინ მიდის. თუ დახლზე და თაროებზე თქვენთვის სასურველი საქონელი ვერ ნახოთ, ინებეთ წინადადებათა წიგნი, ჩაწერეთ შიგ თქვენი სურვილი და მაღაზიაც „საქსპორტვაჭრობის" დახმარებით შეეცდება დაგაკმაყოფილოთ.

... ჯერ კიდევ სსრ კავშირის ხალხთა I სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში ნათელი შეიქნა, რომ რესპუბლიკის მაღაზიები, რომლებიც სპორტული საქონლით ვაჭრობდნენ, ვერ აკმაყოფილებდნენ ფიზკულტურული კოლექტივების მოთხოვნებს. სწორედ მაშინ წამოაყენეს წინადადება, რომ თბილისში გახსნილიყო სპეციალური მაღაზია, რომელიც ყველა სახის სპორტინვენტარით ივაჭრებდა როგორც გადარიცხვით, ისე ნაღდ ანგარიშზე. ამასთან, მაღაზიას თვითშესყიდვის უფლებაც ექნებოდა და, აი, 1961 წელს რუსთაველის პროსპექტზე „ბავშვთა სამყაროს" ყოფილ „რეზიდენციაში" სპეციალური სპორტული მაღაზია გაიხსნა. იგი კვალიფიციური კადრებით დააკომპლექტეს, სათავეში კი გამოცდილი მუშაკი ბ. რუხაძე ჩაუყენეს.

... თბილისის საფეიქრო მრეწველობის ინსტიტუტის პირველკურსელი სამამულო ომის პირველი დღიდანვე ჩაება ბრძოლაში. შინ ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული დაბრუნდა. ჯერ „დინამოს" სტადიონის დირექტორის მოადგილედ და პარტორგად მუშაობდა, შემდეგ სპორტნაწარმის მაღაზიის დირექტორად დანიშნეს. აგერ 18 წელია სპორტულ მაღაზიას ხელმძღვანელობს.

მაღაზიამ განსაკუთრებით ნაყოფიერად საიუბილეო წელს იმუშავა — სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში ყოველთვიურად საშუალოდ 60 ათასი მანეთის საქონელს ყიდდნენ. ვის არ გაუმართეს ხელი: ზუგდიდის, ლანჩხუთის, თელავის, სიღნაღის, ჭიათურის, ქუთაისის სპორტკავშირებს, ფიზკულტურულ კოლექტივებს, ნაკრებ გუნდებს...

1967 წლის საქონელბრუნვის გეგმა 106,2 პროცენტით გაანაღდეს, სახელმწიფოს მისცეს 30 ათასი მანეთის ზეგეგმითი მოგება, მინიმუმამდე დაიყვანეს ტარის დანაკარგი... ამ წარმატებაში ერთნაირი წვლილი მიუძღვით მაღაზიის თანამშრომლებს პ. კიჩიჯის, ი. იუზბაშევს, ნ. სიხარულიძეს, ზ. ბენდელიანს, ფ. იმნაიშვილს...

მაღაზიის კარგ მუშაობას ადასტურებს ბევრი მომხმარებლის მადლობა, სოცშეჯიბრებაში მოპოვებული ვიმპელები, საქართველოს პროფკავშირთა მძლეოსნური სკოლის საპატიო სიგელი, ამიერკავკასიის სასაზღვრო ჯარების ფიზკულტურული ორგანიზაციის სიგელი.

— დიდად დაგვეხმარა „საქსპორტვაჭრობის" შექმნა. ამან საქონელს სწორედ სპორტის სპეციალიზებულ მაღაზიებში მოუყარა თავი და მომხმარებელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებაც გაიოლდა. განზრახული გვაქვს, რომ მომხმარებელს კიდევ უკეთ მოვემსახუროთ. საწყობები არ გვაქვს და ზოგჯერ იძულებული ვართ, გადარიცხვით ნაყიდი საქონელი ორგანიზაციებს ერთი-ორი დღის დაგვიანებით მივცეთ. მალე ამ ნაკლსაც აღმოვფხვრით, — ამბობს მაღაზიის დირექტორი.

**ი. მუკათარიძე.**

* * *

სურათზე: სპორტული საქონლის სექციის უფროსი გამყიდველი ი. იუზბაშევი მომხმარებელს ეხმარება ინვენტარის შერჩევაში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

[illegible]

### ✦ ცხინვალი

სამხრეთ ოსეთის ვაჟთა საჭადრაკო პირველობაში 12 კაცი მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავა ს. ელბაქიძემ (10 ქულა), II — ი. გაგლოევმა (9), III-IV ადგილები გაიყვეს ე. სანაკოევმა და ქ. კოხიევმა (7-7).

**ვ. გელაშვილი.**

### ✦ თელავი

სოფელ ფშაველის კლუბში გაიმართა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. მაყურებელთა საერთო მოწონება დაიმსახურეს რ. მარკოზაშვილმა, მ. მაისურაძემ და მ. თაზიევმა, რომლებმაც ყველას აჯობეს თავიანთ წონებში.

**შ. ჯაშიაძე.**

### ✦ ახმეტა

რაიონის ფალავანთა ასპარეზობა მეტად საინტერესო და დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულისათვის ოთხი მოჭიდავე იბრძოდა: ნ. ახალაური, ლ. ფრუიძე, ზ. ქინქლაძე და რ. ახალაური. გაიმარჯვა ნ. ახალაურმა.

**შ. ნათელაური.**

### ✦ ხობი

ჩატარდა ნოჯიხევის № 30 პროფტექნიკური სასწავლებლის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. პირველი ადგილები დაისაკუთრეს დ. სახატსკიმ, ს. სანიკიძემ, ზ. ჭანიამ, გ. დღვილავამ და ა. კორშიამ.

**ა. სანიკიძე,**
სპორტის ოსტატი.

# გულრიფშის რაიონში

## დარბაზი რომ ჰქონდეთ!

დრანდის რუსულ საშუალო სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა ფიზიკურ კულტურას. ფიზაღზრდის მასწავლებელ გ. კაჭარავას მეცადინეობით და ადმინისტრაციის მხარდაჭერით აქ შექმნილია ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, მაგიდის ჩოგბურთის და სხვა სექციები. სკოლის ბევრი სპორტსმენი რაიონის მოსწავლეთა ნაკრები გუნდების წევრია, ხოლო კალათბურთელთა გუნდი რაიონის ჩემპიონია.

მაგრამ არის ერთი სერიოზული ნარევეზი: სკოლას არ გააჩნია სპორტდარბაზი.

## ასპარეზობდა 14 გუნდი

რაიონის საფეხბურთო პირველობაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 14 გუნდი მონაწილეობდა.

კარგად მომზადებული გუნდი გამოიყვანა გულრიფშის შოთა რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ო. დავითაია), რომელმაც დამსახურებულად მოიპოვა უძლიერესის სახელი.

**შ. ჯალაღონია.**
(ჩვენი კორ.).



ბურთის მოლოდინში. ფოტო ი. იუნაევისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავანგარდში — ძალოსნები

ასეთი რამ არასდროს ყოფილა: სსრ კავშირის საუკეთესო სპორტსმენთა შარშანდელ ათეულში ორი ძალოსანი შევიდა და ორივე სათავეში მოექცა სიას. ესენი არიან ტალტსი და ჟაბოტინსკი. ასეთია სპორტულ ჟურნალისტთა თვალსაზრისი. და ეს, ჩემი აზრით, სამართლიანია. მე III ადგილზეც ძალოსანს — ვიქტორ კურენცოვს დავაყენებდი. ეს სპორტსმენი მხედველობიდან გამორჩათ ჟურნალისტებს. ვიქტორმა მოიგო ყველა დიდი თუ პატარა შეჯიბრება.

კურენცოვით დავიწყებ ძალოსნურ მიმოხილვას, ვინაიდან შარშან მან ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო რეკორდებზე იერიში. თანაც, დაიწყო არა შინ, სადაც, როგორც იტყვიან, კედლებიც გეხმარებიან, არამედ ოკეანის გაღმა. თებერვალში საბჭოთა ძალოსნები მეხიკოში გამოვიდნენ. კურენცოვმა იქ მსოფლიო რეკორდები დაამყარა აჭიმვასა და სამჭიდში. 460 კგ-ის დაძროვებით მან 5 კგ-ით გააუმჯობესა იაპონელ მ. ოუჩის მსოფლიო მიღწევა.

ამრიგად, ყინული დაიძრა! სარეკორდო წყალდიდობა დაიწყო აპრილში „მეგობრობის თასზე" საერთაშორისო შეჯიბრებებისას თბილისში. „პირველი" აქაც კურენცოვი აღმოჩნდა. მისი „სარეკორდო წამოწყება" აიტაცეს ქვემძიმე წონის ათლეტებმა ა. კალინიჩენკომ, ვ. შიშოვმა და ი. ტალტსმა.

მსოფლიოს მერვე რეკორდი კურენცოვმა წლიურ აქტივში ჩაიწერა მეხიკოს წინაოლიმპიურ კვირეულში, როცა ძნელ ჭიდილს აწარმოებდა ოუჩისთან. იაპონელი ნამდვილი მებრძოლი გამოდგა. გამარჯვებისთვის კურენცოვს დაჭირდა მსოფლიო რეკორდების დამყარება აჭიმვასა (157,5) და სამჭიდში (470).

თუ ოლიმპიურ წელიწადს ვიქტორი შეძლებს ყველა თავისი საუკეთესო კილოგრამის შეკრებას, ძაშინ მეხიკოში გამარჯვება განაღდებული ექნება. იგი ხალისიანი ადამიანია, იშვიათი გულღიობით და კეთილი ხასიათით გამოირჩევა და არ უყვარს თაყვანისმცემელთა იმედების გაცრუება.

სხვათა შორის, არანაკლები საფუძველი გვაქვს ოლიმპიადაში ლ. ჟაბოტინსკის გამარჯვების იმედი ვიქონიოთ. 19 ივნისს სოფიაში ბოლოსდაბოლოს მოხდა ის, რასაც ძალოსნობის მოყვარულნი თითქმის 3 წელია ელოდნენ. ჟაბოტინსკიმ სამჭიდში აჩვენა 590 კგ. აი, როგორ შედგა ეს ფენომენალური ჯამი: აჭიმვა — 200, ატაცი — 172,5, აკვრა — 217,5. მაგრამ შტანგა კიდევ უფრო მძიმე გამოდგა და ცალკეულ მოძრაობებში მსოფლიოს ასეთი რეკორდები აღინუსხა: აჭიმვა — 201,5 ატაცი — 174, აკვრა — 218,5. ამრიგად, საბჭოთა არმიის კაპიტანმა ჟაბოტინსკიმ მონოპოლია აიღო მსოფლიოს ყველა აბსოლუტურ რეკორდზე.

ძალუძს თუ არა საბჭოთა გოლიათს 600-კილოგრამიან ზღვარს გადააჭარბოს? ასეთი კითხვა ჩემთვის არ არსებობს. მე კარგად ვიცი ჟაბოტინსკის შესაძლებლობები და ცუდად როდი შევისწავლე მისი ხასიათი. სოფიაში არ იქნებოდა რეკორდები, აპრილის ბოლოს იური ვლასოვს რომ არ ეცადა ფიცარნაგზე დაბრუნება. გაიხსენეთ მისი რეკორდი აჭიმვაში — 199 კგ. ეს საკმარისი გამოდგა რათა ჟაბოტინსკის დამაჯერებლად დაემტკიცებინა, რომ იგი სამართლიანად ითვლება პლანეტის ყველაზე ღონიერ ადამიანად.

სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის ფინალში ჟაბოტინსკის შეეძლო სამჭიდში 600 კგ ეჩვენებინა, მაგრამ ათლეტმა ვერ მოძებნა საყრდენი წერტილი, როცა 202,5 კგ-ს ჭიმავდა. ამან დაარღვია მისი გეგმები და მაინც ჟაბოტინსკიმ იოლად დააგროვა 585 კგ, თანაც, ატაცსა და აკვრაში მსოფლიო რეკორდები გააუმჯობესა.

არავინ იცის ჟაბოტინსკის ძალის ზღვარი, თვად მანაც კი. დარწმუნებული ვარ, ოლიმპიურ სეზონში ჟაბოტინსკი გააკეთებს იმას, რასაც მხოლოდ მისგან მოელიან — აიღებს 600-კილოგრამიან ზღვარს

თბლად გრძნობს თავს „ხუთასიანების კლუბში" ტალტსი: იგი ჯერჯერობით ქვემძიმე წონის ერთადერთი ძალოსანია, რომელმაც მეექვსე ასეულის იერიში დაიწყო. ეს ათლეტი პირდაპირ საოცარია. იგი მხოლოდ 23 წლისაა. ტოკიოს ოლიმპიადის წელს იგი სსრ კავშირის ჩემპიონი იყო იუნიორებში. მაშინ იგი ვ. გოლოვანოვზე 70 კილოგრამით ნაკლებს სწევდა. და ვინ იფიქრებდა, რომ 3 წლის შემდეგ გაუფრთხილდებოდა ოლიმპიური ჩემპიონის სპორტული სახელი. ხოლო დიდების მწვერვალზე ესტონელი ათლეტი აღმოჩნდებოდა.

შტანგა ფანატიკოსებს ემორჩილება, ადამიანებს, რომელთაც თავდავიწყებით უყვართ ძალოსნობა. სწორედ ისეთებს, როგორც ტალტსია. იგი ისე კი არ ცხოვრობს, როგორც სურს და ახალგაზრდობა კარნახობს, არამედ ისე, როგორც ამ ასაკისთვის საოცრად დაძინჯებული გონება კარნახობს. იანმა მთლიანად დაუმორჩილა საკუთარი თავი შტანგის მოთხოვნებს და მისი ცდაც სათანადოდ ანაზღაურდა: იგი პირველ სპორტსმენადაა აღიარებული საბჭოთა სახელმწიფოს საიუბილეო წელს. ტალტსი მუდამ წარმატებით ასპარეზობდა და შვიდჯერ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი. ათლეტი როდი დამშვიდდა. აი, რა მითხრა მან ოლიმპიური წლის წინ:

— ვინც დღეს ჩამორჩა, შესაძლოა ხვალ დამეწიოს. ჩემი მთავარი მეტოქენი არიან კიდიაევი და კალინიჩენკო, რომლებიც ჩემზე სუსტნი როდი არიან. უცხოელ ათლეტებშიც მოიძებნებიან ისეთები, რომლებსაც შეუძლიათ უახლოეს ხანში „ხუთასიანების კლუბში" შეიდნენ: მაგალითად, უნგრელი ტოტი, პოლონელი გოლომბი. მაშასადამე, უფრო მეტისთვის უნდა ვემზადო.

ჟაბოტინსკი, ტალტსი, კურენცოვი — სამი ვეშაპია, მაგრამ მარტო მათზე როდი დგას ძალოსნური სპორტი. საბჭოთა ძალოსნობა ეს დაახლოებით 400 ათასი ათლეტია. სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის ფინალის დღეებში ძალოსნებმა მსოფლიო რეკორდების ცხრილში 4 კორექტივი შეიტანეს, ხოლო მთელ წელიწადში 31-ჯერ შეასწორეს მსოფლიო რეკორდი.

ყველა დანარჩენი ქვეყნის ათლეტებზე მოდის მხოლოდ მსოფლიოს 12 მიღწევა. მაგრამ საზღვარგარეთის ძალოსანთა შორის არიან ისეთნიც, რომელთა წინაშეც ძალოსნობის მოყვარულებმა ქუდი უნდა მოიხადონ. დავიწყებ პოლონელი ფენომენით ვალდემარ ბაშანოვსკით. ჩემი ღრმა რწმენით, იგი ყველაზე ელეგანტური ათლეტია მსოფლიოში.

როცა 1966 წლის ბერლინის ჩემპიონატში კაცურამ მსუბუქ წონაში 437,5 კგ აჩვენა, სპეციალისტებმა თქვეს: „ევგენის ეს რეკორდი მრავალ წელს იცოცხლებს". მაგრამ თურმე არ შეიძლება უძლიერესთა სპორტში წინასწარმეტყველი იყო. ბაშანოვსკი დაბრუნდა თავის მშობლიურ კატეგორიაში და მეხიკოს ოლიმპიურ კვირეულში 440 კგ დააგროვა! არ მეეჭვება, რომ ვალდემარი მეორედ გახდება ოლიმპიური ჩემპიონი. მხოლოდ ბოროტ ბედისწერას შეუძლია აარიდოს იგი ამ დამსახურებულ მწვერვალს.

დიდ პატივს ვცემ იოსინობუ მიაკეს, პატარას, მაგრამ ძალიან მოქნილ იაპონელ ალმასს. მან თავი გაგვაცნო რომის ოლიმპიადის წელს, როცა მსოფლიო რეკორდსმენი გახდა მჩატე წონაში. 1962 წელს მიაკემ მსოფლიოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა და მას შემდეგ მხოლოდ დიდების კვარცხლბეკის ამ უმაღლეს საფეხურზე ადის. იყო დრო, როცა ჩვენ აღტაცებით ვლაპარაკობდით მძიმე წონის ძალოსნებზე, რომლებიც 400 კილოგრამს წევდნენ. ტოკიოს ოლიმპიურ ფიცარნაგზე მიაკე ძალიან მიუახლოვდა 400-კილოგრამიან ზღვარს, თუმცა თვითონ მხოლოდ 60 კგ-ს იწონის. შარშანდელ სეზონში მან გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი ატაცში. მიაკე რჩება მეხიკოს „ოქროს" მთავარ პრეტენდენტად.

ბუნდოვანი სურათია მჩატე წონაში, სადაც ბოლო წლებში ორი მეშახტე ლიდერობდა: უნგრელი ი. ფიოლდი და საბჭოთა ძალოსანი ა. ვახონინი. ორივე ფიცარნაგის ვეტერანია და, როგორც ჩანს, ერთსაც და მეორესაც გაუძნელდება ახალგაზრდების — პირველ ყოვლისა, ირანელ მ. ნასირისა და საბჭოთა ძალოსან გ. ჩეტინის შემოტევასთან გამკლავება. ამ ახალგაზრდა ათლეტებს ბადალი არ ჰყავდათ მეხიკოს წინაოლიმპიურ კვირეულში. ნასირის აქილევსის ქუსლია ატაცი. მოკლე თითები ხელს უშლიან მას კარგად ჩაეჭიდოს შტანგას.

ბევრი პრეტენდენტია საშუალო წონაში. გაგახსენებთ, რომ ამ წონით კატეგორიაში გამოდიან უნგრელი დ. ვერეში, პოლონელი ნ. ოზიმეკი, ჩეხოსლოვაკიელი ჰ. ზდრაჟილა და საბჭოთა ძალოსანი ვ. ბელიაევი, რომელსაც ეკუთვნის მსოფლიო რეკორდი სამჭიდში (485). მაგრამ შარშან ბელიაევმა ვერ იქნა და ვერ იპოვნა თავისი თავი. ძალიან იმედიან მებრძოლად გვაჩვენა თავი ლენინგრადელმა ბ. სელიცკიმ. მან მოიგო სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ტურნირი და კარგი ჯამი აჩვენა — 477,5 კგ. ვფიქრობ, რომ ოლიმპიური ჩემპიონი საშუალო წონაში სწორედ სელიცკი გახდება, რომელსაც შესანიშნავი ათლეტური მონაცემები და აღუშფოთველი ხასიათი აქვს.

უეჭველია წარმატების შანსები აქვთ ამერიკელ ძალოსნებსაც. მე მგონია, რომ მექსიკის ფიცარნაგზე აშშ-ის ათლეტებს წარმატებით შეუძლიათ იბრძოლონ არაოფიციალური გუნდური II ადგილისთვის. სხვათა შორის, ზოგიერთი მათი მწვრთნელის აზრით, ამერიკელ მძიმეწონოსნებს შეუძლიათ ჟაბოტინსკისთან ჭიდილიც კი. ვნახოთ, ფიცარნაგი გვაჩვენებს ვინ უფრო ძლიერია.

**დ. ივანოვი,**
სპორტის დამსახურებული ოსტატი.





# ნორჩი ჩემპიონები

ზამთრის არდადეგების დღეებში თბილისის ნორჩმა მოჭადრაკეებმა თავიანთი პირველობები გამართეს. გოგონებში ყველას აჯობა თ. კაჭარავამ, ვაჟებში — ა. ტორჩიანმა (ორივე — 22-ე საშუალო სკოლა).

**რ. ფერაძე.**

* * *

სურათებზე: თ. კაჭარავა და ა. ტორჩიანი.

ფოტო ავტორისა.

# ზუმრობამ გაჭრა

როცა კუპერმან — ანდრეიკოს მატჩის სტარტზე ყაიმები გახშირდა, ესტონეთის ქალაქ კოხტლა-იარვას მომუშე-ენერგეტიკოსებმა დიდოსტატებს გამოუგზავნეს აქ დაბეჭდილი სახუმარო ღია ბარათი კეთილი სურვილებით.

კუპერმანმა და ანდრეიკომ ესტონელ გულშემატკივრებს საპასუხო წერილი გაუგზავნეს და ახალი წელი მიულოცეს.

ამ დღეებში კუპერმანმა და ანდრეიკომ კიდევ ერთი წერილი მიიღეს ესტონეთიდან. კოხტლა-იარვას მომუშეები იტყობინებიან, რომ დიდოსტატთა ბარათმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კულტურის სასახლის ხელმძღვანელებზე, რომლებიც დაუყოვნებლივ შეუდგნენ სასახლის შაშის კლუბის შეკეთებას. საინტერესოა, რომ მანამდე, წლების მანძილზე უშედეგოდ რჩებოდა მოშაშეთა თხოვნა — კლუბი შეგვიკეთეთ.



# გამოცდილი პედაგოგი, დიდი მკვლევარი

ლენინგრადის ლესგაფტის სახელობის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული მედიცინის კათედრის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგეს, პროფესორ ალექსანდრე გრიგოლის ძე დემბოს ამას წინათ შეუსრულდა დაბადებიდან 60 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 35 წლისთავი.

პროფ. ა. დემბო სპორტული მედიცინის დარგში ერთ-ერთი მოწინავე სპეციალისტად ითვლება. იგი ხელმძღვანელობს მეცნიერთა ჯგუფს, რომელიც კარგადაა დაუფლებული კლინიკურ მედიცინასაც, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მუშაობას ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში.

დემბომ ჩვენს ქვეყანაში პირველმა ჩაუყარა საფუძველი სპორტული პათოლოგიისა და პათოლოგიისწინა მდგომარეობის მეცნიერულ შესწავლას. ღვაწლმოსილი მეცნიერი და მისი მოწაფეები ნაყოფიერად მუშაობენ სპორტსმენის სხეულის ფუნქციური ხასიათის დარღვევების დროულად გამოვლენის მიზნით სხვადასხვა კლინიკურ-ფიზიოლოგიური მეთოდების შესწავლისა და დამუშავებისთვის.

მრავალმხრივია გამოჩენილი პროფესორის საქმიანობა სპორტული მედიცინის დარგშიც. იგი წარმატებით მუშაობს გაწვრთნილობისა და მისი დიაგნოსტიკის საკითხებზე, შეისწავლის გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემების ფუნქციური მდგომარეობის საკითხებს. მან ბევრი რამ გააკეთა ჯანმრთელი და დაავადებული გულის შედარებითი შესწავლის დარგში. 1966 წელს კი ა. დემბო მთავარი მომხსენებელი იყო სპორტსმენთა გულის რითმის დარღვევის საკითხისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმისა, რომელიც თბილისში ჩატარდა. მის კალამს ეკუთვნის 120-ზე მეტი სამეცნიერო შრომა.

აქტიური საზოგადო მოღვაწე, გამოცდილი პედაგოგი, დაკვირვებული მკვლევარი, პრინციპული და მრავალმხრივ განათლებული ადამიანი, პროფესორი ალექსანდრე დემბო დღესაც ჩვეული ენერგიით განაგრძობს სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

**რ. სვანიშვილი,**
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

# „ჭადრაკს გამიჯნურებულნი"

წიგნის თარო



1967 წლის მიწურულს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" დასტამბა თ. გიორგაძის ახალი წიგნი „ჭადრაკს გამიჯნურებულნი" (130 გვ., ტირაჟი 5.000 ეგზემპლარი, ფასი 16 კაპ.).

წიგნის ანოტაციაში გამომცემლობა წერს:

„XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის ქართული ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების ბევრი გამოჩენილი მოღვაწის ცხოვრებაში გარკვეული ადგილი ეკავა ჭადრაკს. ისინი ამ ბრძნულ თამაშს გონივრული დასვენების შესანიშნავ საშუალებად თვლიდნენ და დიდი ხალისით უთმობდნენ თავისუფალ დროს.

სწორედ ჭადრაკის ამ მიჯნურთა შესახებ მოგვითხრობს მოჭადრაკისა და ჟურნალისტის თენგიზ გიორგაძის წინამდებარე წიგნი, რომლის დაწერისას გამოყენებულია დოკუმენტური მასალები, მემუარული ლიტერატურა და მოწინავე ქართველ ინტელიგენტებთან ავტორის პირადი შეხვედრისას შეგროვილი მასალები"

წიგნში ნაამბობია, როგორ იყვნენ ჭადრაკით გატაცებული ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ე. მაჩაბელი, მ. გურიელი, დ. კლდიაშვილი, კ. მარჯანიშვილი, პ. იაშვილი, დ. გელოვანი, ნ. ლორთქიფანიძე, გ. ტაბიძე, შ. დადიანი, ს. ყანჩელი, ი. ნიკოლაძე, ლ. ქიაჩელი, გ ნიკოლაძე, პ. ხელთუფლიშვილი, მ. შალამბერიძე, პ. კობახიძე, ი. გრიშაშვილი; როგორ უყვართ ეს თამაში გ. ახვლედიანს, ა. შანიძეს, ნ. კეცხოველსა და ნ. კანდელაკს.

წიგნი უხვადაა დასურათებული.

# ახალ კორტზე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის თანამშრომლებმა ძვირფასი საჩუქარი მიიღეს: მწყობრში ჩადგა ჩოგბურთის მოედანი.

კორტის ხშირი სტუმრები არიან ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ლ. კოკნაძე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატები ლ. მახარაძე, ზ. ხამსონია, ინჟინრები გ. კაჭარავა, ვ. ლოინტი, ჯ. იაშალაშვილი და სხვები, რომლებიც მალე დაეუფლნენ სპორტის ამ რთული სახეობის ანბანს.

გადაწყდა ჩატარებულიყო პირველობა გამოთვლითი ცენტრის ჩემპიონის გამოსავლენად. შეჯიბრებაში 12 კაცმა მიიღო მონაწილეობა.

დაძაბულ ბრძოლაში ყველას აჯობა მათემატიკური კიბერნეტიკის განყოფილების ინჟინერმა ზ. ყიფიანმა, რომელმაც მთელი შეჯიბრება დაუმარცხებლად ჩაატარა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ უმცროსი მეცნიერ-მუშაკი დ. უგულავა, ინჟინრები ზ. ზურაბიშვილი და თ. გვანცელაძე.

ასპარეზობამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მორიგი პირველობის ჩატარება ივნისშია განზრახული. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ აკადემიის სისტემის სხვა საკვლევი ინსტიტუტების ჩოგბურთელებიც. გაიმართება ქალთა პირველობაც.

**გ. გოგლიძე,**
სპორტის ოსტატი.



გრენობლის თეთრი ოლიმპიადისთვის აგებულმა სპეციალური სლალომის ტრასამ წინაოლიმპიურ კვირეულში „ფრიადზე“ ჩააბარა გამოცდა. ეს ტრასა ამ სურათზეა აღბეჭდილი და მზადაა საბოლოო ბატალიებისთვის. მის ბილიკებზე ერთდროულად ორი დიდი ტურნირი გაჩაღდება. სამთომოთხილამურეები მედლების კომპლექტისა და „მსოფლიოს თასის“ მორიგ ტურში წარმატებისთვის იასპარეზებენ.

## ახალი ამბები

● **ვოროხტა**, 17 იანვარი. ორჭიდსა და თხილამურებით რბენაში საკავშირო ტურნირის დამთავრების შემდეგ შედგა ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები, რომელიც გრენობლში იასპარეზებს. გუნდში შევიდნენ: ა. სმირნოვა, გ. კულაკოვა, ფ. სალიმჯანოვა, ა. კოლჩინა, რ. აჩკინა, ნ. შებალინა, ვ. ვორონჩიხინი, ვ. ვედენინი, ვ. ვორონკოვი, ა. აკენტიევი, ვ. დოლგანოვი, ა. ნასედკინი, ფ. სიმაშოვი და ვ. ტარაკანოვი, რ. მაკარა, ე. ლოგინოვი, მ. არტიუხოვი, ვ. დრიაგინი და ტ. ჰალიანდი.

● **ბრიანსკი**, 17 იანვარი. ოლიმპიური წელი კარგად დაიწყო ამ ქალაქის ცნობილმა მორბენალმა ლ. სამოტიოსოვამ. ადგილობრივ მანეჟში „ტრუდის“ მძლეოსანთა ზამთრის საკავშირო ასპარეზობაში მან 50 მეტრზე დარბაზებისთვის საკავშირო მიღწევა (6,1 წამი) გაიმეორა. სიმაღლეზე ხტომა მოიგო ბრიანსკის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშამ, 19 წლის ვ. კოზლოვმა — 209 სმ.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

# ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები...

### ინგლისი

უამინდობის გამო არ ჩატარებულა XXVI ტურის შეხვედრათა უმრავლესობა. „ლიდს იუნაიტედმა“ შინ მოუგო „საუთჰემპტონს“ (5:0) და II ადგილზე გავიდა.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „არსენალი“ — „შეფილდ იუნაიტედი“ 1:1, „ლეისტერ-სიტი“ — „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“ 3:1, „ნიუკასლ იუნაიტედი“ — „ნოტინგემ ფორესტი“ 0:0.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „მანჩესტერ იუნაიტედი“ | 25 | 50:28 | 37 |
| „ლიდს იუნაიტედი“ | 25 | 44:19 | 35 |
| „ლივერპული“ | 26 | 41:21 | 33 |

### ესპანეთი

მორიგი ტური რამდენიმე მოულოდნელი შედეგით აღინიშნა: მადრიდის „ატლეტიკომ“ გასვლითი მატჩი წააგო „საბადელთან“ (0:1), ბოლო ადგილზე მყოფმა „ელჩემ“ შინ მოუგო ბარსელონის „ესპანიოლს“ (1:0), ხოლო აუტსაიდერმა „კორდოვამ“ დაამარცხა ბილბაოს „ატლეტიკო“ — 2:1.

ტურის ცენტრალური შეხვედრა შედგა ბარსელონაში, სადაც ამავე სახელწოდების ადგილობრივმა გუნდმა მოუგო „რეალ-სარაგოსას“ — 4 : 0.

დანარჩენი შედეგებია: „მალაგა“ — „ლას-პალმასი“ 2:0, „პონტევედრა“ — „რეალ სოსიედადი“ (სან-სებასტიანი) 2 : 0, „ბეტისი“ — „ვალენსია“ 0 : 2.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ბარსელონა“ | 16 | 26:16 | 21 |
| „ატლეტიკო“ (მადრიდი) | 16 | 22:15 | 21 |
| „რეალი“ (მადრიდი) | 15 | 32:14 | 20 |

### პორტუგალია

ლისაბონის „ბენფიკამ“ მორიგ ტურში ფრედ ითამაშა „ვარზიმთან“ (1:1) და მას წამოეწია ლისაბონის „სპორტინგი“, რომელმაც შინ სძლია „ბელენენსესს“ — 3:0.

დანარჩენი შედეგებია: „ფკ პორტუ“ — „ვიტორია“ (სეტუბალი) 2:0, „ვიტორია“ (გამარაისი) — „ბარეირენსე“ 3:0, „აკადემიკა“ — „ლეიქსოსი“ 2:1, „სან ჟოანენსე“ — „ტირსენსე“ 1:0, კუფ — „სპორტინგი“ (ბრაგა) 1 : 2.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა“ (ლისაბონი) | 13 | 29:11 | 21 |
| „სპორტინგი“ (ლისაბონი) | 13 | 24:8 | 21 |
| „ფკ პორტუ“ | 13 | 27:11 | 20 |

### იტალია

ნაკლებად ცნობილი კლუბი „ვარეზე“ თამაშს თამაშზე იგებს: გასულ ტურში მან დაამარცხა ლიდერი — „მილანი“ (2:1). მილანის „ინტერნაციონალემ“, როგორც იქნა, გაიმარჯვა („კალიართან“ — 3:0).

დანარჩენი შედეგებია: „რომა“ — „ტორინო“ 0:2, „ატალანტა“ — „სამპდორია“ 1:0, „ბრეშია“ — „ნაპოლი“ 1:1, „ფიორენტინა“ — „ლანეროსი“ 3:1, „იუვენტუსი“ — „სპალი“ 2:0, „მანტოვა“ — „ბოლონია“ 0:0.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „მილანი“ | 15 | 28:15 | 21 |
| „ვარეზე“ | 15 | 15:14 | 19 |
| „იუვენტუსი“ | 15 | 18:14 | 18 |
| „ნაპოლი“ | 15 | 16:13 | 18 |

### შოტლანდია

ყინვის გამო არ ჩატარდა XX ტურის მატჩების დიდი ნაწილი. „გლაზგო რეინჯერსმა“ ედინბურგში მოუგო ადგილობრივ „ჰარტ ოვ მიდლოტიენს“ (3:2) და ახლა 6 ქულით უსწრებს „სელტიკს“.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „გლაზგო რეინჯერსი“ | 20 | 53:17 | 37 |
| „სელტიკი“ | 18 | 52:17 | 31 |
| „ჰიბერნიენი“ | 20 | 40:23 | 27 |

(საკ. ინფ.).

## თ. ნორდალი — „რაპიდში“

**ბევრ** ევროპულ გუნდს სურდა შვეციის ნაკრების ვარსკვლავის თ. ნორდალის გადაბირება. შვეიცარიის ჩემპიონმა „ფკ ბაზელმა“ მას საუცხოო პირობები შესთავაზა. თომასი ჩავიდა კიდეც შვეიცარიაში, მაგრამ საქმე კონტრაქტის დადებამდე არ მისულა. საქმეში ჩაერივნენ ვენის „რაპიდის“ წარმომადგენლები და სანამ „ბაზელის“ ხელმძღვანელობა თ. ნორდალის დაყოლიებას აპირებდა, მან უკვე ვენაში ამოყო თავი. აქ გამოცხადდა კიდეც, რომ ახალგაზრდა შვედმა ცენტრფორვარდმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას და „რაპიდში“ ითამაშებს.

## „მედისონ სკვერ გარდენი“ მოლოდინში

**ნიუ-იორკის** კრივის მოყვარულნი მოუთმენლად ელიან 8 მარტს. ამ დღეს საქვეყნოდ ცნობილ „მედისონ სკვერ გარდენში“ საშუალო წონის მოკრივე პროფესიონალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად ერთმანეთს შეებრძოლებიან ამერიკელი ე. გრიფიტსი და იტალიელი ნ. ბენვენუტი. არანაკლებ ინტერესს იწვევს მძიმე წონის მოკრივეების ჯ. ფრეზერისა და ბ. მატისის შეხვედრა, რომელიც „მედისონში“ იმავე საღამოს გაიმართება.

გრიფიტსმა საშუალო წონაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ბენვენუტის შარშან აპრილში დაუთმო, ხოლო სექტემბერში ისევ დაიბრუნა.

ფრეზერიცა და მატისიც 23 წლისაა. ფრეზერი პროფესიონალი გახდა 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიური თამაშების შემდეგ და ამ ხნიდან მოყოლებული 19 ბრძოლიდან ყველა მოიგო, მათ შორის, 17 — ნოკაუტით. მატისის აქტივშია 23 გამარჯვება (17 ნოკაუტით).

ადრე მეტოქეები ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს (მაშინ ისინი მოყვარულები იყვნენ). გამარჯვება ორივეჯერ მატისს ხვდა.

## ორტიზი — საუკეთესო მოკრივე

**მსუბუქი** წონის პროფესიონალ მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონი, 31 წლის კ. ორტიზი (პუერტო-რიკო) გამოცხადებულია 1967 წლის საუკეთესო მოკრივედ დედამიწაზე. მას გადაეცა ე. ნეილის სახელობის ტრადიციული პრიზი.

ორტიზი პირველ ადგილზე ხმების დიდი უმრავლესობით გავიდა. მომდევნო ადგილებზე არიან: დ. ტიგერი (ნიგერია), ე. გრიფიტსი, ჯ. ფრეზერი (ორივე — აშშ).

## ჰოლანდიელთა აზრით

**ჰოლანდიურმა** ჟურნალმა „ვოეტბალ ინტერნაციონალმა“ გამოაქვეყნა დიდი კონკურსის შედეგები, რომლის მიზანი იყო ევროპის ფეხბურთელთა ნაკრების შედგენა.

აი, ეს ნაკრებიც: ბენქსი (ინგლისი), შნელინგერი (გფრ), ჯემელი (შოტლანდია), დე ფილიპე (ესპანეთი), ფაკეტი (იტალია), რ. ჩარლტონი (ინგლისი), ბეკენბაუერი (გფრ), ჯონსტონი (შოტლანდია), ეუსებიო (პორტუგალია), ალბერტი (უნგრეთი), მულეინი (ჰოლანდია).

## კილი... დაეცა

„მსოფლიო თასისთვის“ მებრძოლ სამთომოთხილამურე ვაჟთა გამართულმა ასპარეზობამ ბადენ-ბადენში ფრანგი ჟან-კლოდ კილი დააწინაურა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონმა ლიდერობა დიდხანს ვერ შეინარჩუნა: გასულ შაბათ-კვირას ლაუბერჰორნში (შვეიცარია) მოეცარა ხელი. აქ მოეწყო შეჯიბრებები სწრაფდაშვებასა და სპეციალურ სლალომში.

სწრაფდაშვების ტრასის სიგრძე 4260 მ უნდა ყოფილიყო, მაგრამ რამდენიმე დღით ადრე მოსულმა დიდმა თოვლმა ზვავის საფრთხე შექმნა და ტრასაც კილომეტრნახევრით შეამცირეს. აქ ყველას აჯობეს ავსტრიელებმა გ. ნენინგმა (1.59,9) და კ. შრანცმა (2.01,2).

კარგად იასპარეზეს მასპინძლებმაც: III-VII ადგილები დაისაკუთრეს, მეორე დღეს კი სპეციალურ სლალომში დ. ჯოვანოლიმ I ადგილიც დაიკავა. II ადგილზეა ნორვეგიელი ჰ. მიონი.

სპეციალურ სლალომში პირველი ცდის შემდეგ დიდი უპირატესობით ლიდერობდა ჟან-კლოდ კილი, მაგრამ მეორე ცდაზე იგი დაეცა, კარი გამოტოვა და საერთო ლიდერობაც დაკარგა. თასის გათამაშებას შვეიცარიელი ე. ბრუგმანი ჩაუდგა სათავეში.

## უნგრეთის ფედერაციის გადაწყვეტილებით

**უნგრეთი** ერთადერთი ქვეყანა იყო ევროპაში, სადაც აკრძალულად რჩებოდა ფეხბურთის მატჩებში მოთამაშეთა შეცვლა, მათ შორის, მეკარისაც. ამის წინაალმდეგ ილაშქრებდა ბევრი უნგრელი სპეციალისტი და მოთამაშე, მაგალითად, ალბერტი, ბენე და მესეი.

და აი, უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციამ ყურად იღო ეს საერთო თხოვნა. ამიერიდან ნებადართულია, როგორც მეკარის (იგი მინდორზე გამოვა № 12 მაისურით), ისე მინდვრის მოთამაშის შეცვლაც (მას № 13 მაისური ექნება).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტული [illegible]

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ. ფიზკულტურის ინსტიტუტის საჭიდაო დარბაზი (ჭავჭავაძის პრ. № 49). **19-20 იანვარი**. „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური შეჯიბრება. დასაწყისი: 19 იანვარს — 18 ს., 20-ში — 11 ს. და 18 ს.

ᲙᲠᲘᲕᲘ. სპორტის სასახლე. **21 იანვარი**. საერთაშორისო შეხვედრა: საქართველო — ფინეთი. დასაწყისი 19 ს.

## ფელეტონი

## თავისუფლების ქანდაკებას „ელიმება“

ამერიკული გაზეთები ცხელ-ცხელი ცნობებით აჭრელდა: გრენობლის ზამთრის ოლიმპიადას ვერ დაესწრება ასობით ამერიკელი სპორტის მოყვარული. სახელმწიფო დეპარტამენტის კარი მაგრადაა დაკეტილი მათთვის, ვინც საფრანგეთში წასასვლელ ვიზას მოითხოვს.

— არავითარ შემთხვევაში! — ამბობენ ამერიკელი ხელისუფლები.

— რატომ? — კითხულობენ სპორტის მოყვარულები.

— ფრანგული არც სუნამო გვინდა, არც ღვინო, არც ოლიმპიადა...

— კი მაგრამ, ოლიმპიური იდეები ხომ სხვას ღაღადებენ?

— არავითარი ოლიმპიური იდეები! ეს იდეები ფრანგ პიერ დე კუბერტენს ეკუთვნის და ერთა ურთიერთმეგობრობას, ძმობას ღაღადებს.

რა მოხდა? — გაიოცებს მკითხველი. რად უღობავენ საფრანგეთის გზას „თავისუფალი“ ქვეყნის მკვიდრთ?

ეს წმინდა წყლის ამერიკული პოლიტიკის ნაყოფია. ბოლო ხანს აშშ — საფრანგეთის ურთიერთობა მკვეთრად გაუარესდა. გრენობლის ხომ გაგონებაც არ სურთ ამერიკელ ხელისუფალთ. მიზეზი: როგორ გაბედეს ამ ქალაქის მესვეურებმა, რომ ოლიმპიადის დღეებში მსოფლიოს ყოველ კუთხეში საომარი ოპერაციების შეწყვეტა მოითხოვეს! ვიეტნამშიც უნდა შეწყდეს ცეცხლი? არავითარ შემთხვევაში!

— ბოიკოტი გრენობლს, ბოიკოტი ოლიმპიადას! — ამბობენ ისინი. გრენობლში წავლენ მხოლოდ ის სპორტსმენები, რომლებსაც გამარჯვების შანსი აქვთ. სხვა არავინ!

— კუბერტენმა ხომ თქვა: მთავარია ოლიმპიადაში მონაწილეობა და არა გამარჯვებაო.

— არავითარი კუბერტენი, არავითარი საფრანგეთი!

...ფრანგი სკულპტორის ფრედერიკო ავგუსტო ბარტოლდის მიერ ნაჩუქარ თავისუფლების ქანდაკებას, რომელიც ნიუ-იორკშია აღმართული, მწარედ „ელიმება“.

ზ. ჯანდიერი.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 3-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 3-95-41, მასობრივ - ფიზკულტურული, მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3-93-31.